

შპს 220.ჯი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

1. ზოგადი ინფორმაცია

1. შპს 220 ჯი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 30.06.2017 წლიდან . დირექტორი ნუგზარ ტატიშვილი 62001041083 100 % წილის უფლებით . კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიდოში, ი.პეტრიწის ქ., I კორპუსის მიმდებარედ, (ნაკვ. 6/75), სადარბაზო 2, სართული 8, ბ. N88 მისი ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება

მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეუ-ლების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია,

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში, საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არარეზიდენტ მომწოდებელს (იმპორტიორს) საქონელის მოწოდების ვადის დარღვევის გამო ერიცხება პირგასამტეხლო პროცენტის სახით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. ჯგუფის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები ლარში. წლიურ 11,90%-ს. სესხების დაფარვის ვადა 2029 წლის მაისი.

დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წელის დასრულების შემდგომ პერიოდში კომპანიის მიერ მოხდა მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალების შეძენა და კაპიტალური რემონტი (კომერციული ფართი 1 613 378 ლარის ოდენობით) რისთვისაც დამატებით აითვისა 450 000 დოლარის სესხი ,ამასთან იგი განაგრძობდა არსებული სესხების დაფარვას გრაფიკის მიხედვით

ბალანსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	12/31/2024	12/31/2023
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	32,856	37,567
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	81,671	152,995
მარაგები	1,409,946	1,387,369
საგადასახადო აქტივები		
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1,442
	1,524,473	1,579,373
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6,242	7,051
	6,242	7,051
მთლიანი აქტივები	1,530,715	1,586,424
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	2 550	2550
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	281,765	342,516
საგადასახადო ვალდებულებები	20,068	22,048
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	123,323	105,189
გადასახდელი დივიდენდი	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
	427,706	472,303
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	193,431	112,420
	193,431	112,420
მთლიანი ვალდებულებები	621,137	584,723

მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	909,578	1,001,701
	909,578	1,001,701
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1,530,715	1,586,424

შემოწმება	(0)	0
-----------	-----	---

მოგება ზარალი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	2,875,461	3.135219
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,943,202)	(2,303.742)
საერთო მოგება	932,260	831,478
სხვა შემოსავლები	-	-
მიწოდების დანახარჯები	-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(528,360)	(487,479)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან	37,066	40,889
საოპერაციო მოგება	440,966	384,889
ფინანსური ხარჯი	-	-
მოგება დაბეგვრამდე	440,966	384,889
მოგების გადასახადი	-	-
პერიოდის მოგება	440,966	384,889

ფულის მოძრაობა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მომზადებულია პირდაპირი მეთოდით

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,424,804	3,644,503
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	66,105	45,257
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,364,150)	(2,724,287)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(227,549)	(228,375)
გადახდილი მოგების გადასახადი	(78,561)	(40,867)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(470,848)	(361,510)
მივლინება	(8,205)	
საბანკო მომსახურება	(8,426)	(6,156)
სხვა ხარჯები ჯარიმები		(50)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	333,170	328,515
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
სატრანზიტო ანგარიშები		
გადარიცხვის საატრანზიტო ანგარიში	85,279.42	-
უცხოური ვალუტისთვის გადატანა		
გადარიცხვის საატრანზიტო ანგარიში	(85,279.10)	-
უცხოური ვალუტისთვის გამოტანა		
გადატანა ანგ შორის	212,929	157,374
გადატანა ანგ შორის	(212,929)	(157,374)
სალარონდან ბანკის თანხის გადატანა	(494,795)	(781,535)

საღარიფიდან ბანკში თანხის შეტანა	494,795	781,535
სხვაობა	0	-
ანგარიშვალდებული პირის თანხის შეტანა	293,709	110,354
ანგარიშვალდებული პირის მიერ ანხისგატანა	(696,210)	(138,654)
სხვაობა	28,300	(28,300)
გადაფასება	5,980	12,570
გადაფასება	(3,341)	(9,304)
კონვერტაცია	943,276	971,446
კონვერტაცია	(947,810)	(974,511)
კონვერტაციისა და გადაფასების სხვაობა	(1,895)	200
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა		
სასესხო ვალდებულების ზრდა	455,000	177,442
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(356,317)	(214,424)
გადახდილი დივიდენდები	(431,801)	(220,000)
გადახდილი პროცენტები	(31,167)	(33,547)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(364,285)	(290,529)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა		
	(4,711)	9,886
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში		
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	37,567	27,681
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	32,856	37,567

ნუგზარ ტატიშვილი

ლია გუდავაძე

Nugzar
Tatishvili



Digitally signed
by Nugzar
Tatishvili
Date: 2025.09.29

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2025 წელს, საწარმომ აღმოაჩინა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამორჩენილი იყო მომწოდებელთან გადახდილი ავანსისა და სავაჭრო ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და აგრეთვე სხვა არაარსებითი შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2023 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. გადახდილი ავანსისა და სავაჭრო ვალდებულებების ურთიერთჩათვლის გასწორებამ გამოიწვია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსებისა და სავაჭრო ვალდებულებების 7618 ლარით შემცირება. სავაჭრო მოთხოვნების გაზრდა 5077 ლარით მარაგებისას გაზრდა 315 ლარით საბანკო ანგარიშებზე არსებული უცხოური ვალუტის გადაფასება გარდა ამისა სხვა არაარსებითი შეცდომების გასწორების შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მოგება დაბეგვრის შემდგომ გაიზარდა 2556 ლარით ამასთან, 2023 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 11 ლარით,